ბავშვთა ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები

ანნა ბერუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანნა ბერუაშვილი

2023 წელი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ბავშვთა ქორწინებას, მის გამომწვევ მიზეზებს და ამ საკითხის ირგვლივ საქართველოში არსებულ საგამოძიებო და სასამართლო განხილვის ეტაპზე არსებულ პრობლემებს.

ბავშვთა ქორწინების პრობლემა არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად უკვე საუკუნეებია გვევლინება, რადგან ადრეული ქორწინება ყველა ქვეყანაში ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად ხდება, მათი გამომწვევი მიზეზების ძირითადი ნაწილიც ცნობილია, თუმცა პრობლემა კვლავ აქტუალური და მნიშვნელოვანია.

ამ ნაშრომის ფარგლებში განხილულია ბავშვთა ქორწინების გამომწვევი მიზეზები, პრობლემის გადაჭრის პრევენციული ღონისძიებები და რაც ყველაზე მთავარია ბავშვთა ქორწინება განხილულია, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ბავშვთან ქორწინებასთან.

ბავშვთა ქორწინებასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ნაწილში განხილული იქნება თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქორწინების იძულება და სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, როგორც ბავშვთან ქორწინების ძირითადი ხერხები.

საქართველოში ბავშვთა ქორწინების, მათ შორის იძულებითი ქორწინების შემთხვევები სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებისათვის ხშირად ვერ ხდება ცნობილი და ამაში უდიდესი გავლენა აქვს იმ გარემოებას, რომ არც თუ ისე შორეულ წარშულში ქალების მოტაცება ქორწინების იძულების მიზნით, ჩვეულებრივობად მიიჩნეოდა, ამგვარი კულტურა კი ჯერ კიდევ არსებობს საქართველოს არაერთ კუთხეში და საზოგადოების დიდი ნაწილი დღემდე ჩვეულებად ქცეულ ქმედებას დანაშაულად არ აღიქვამს, არასრულწლოვნის მოტაცება მასთან ქორწინების

იძულების მიზნით რომანტიზებულია და შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს, ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ დაბალია საზოგადოების ცნობიერება და ინფორმაციულობა, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ გვყავს სათანადო სპეციალისტები, რომლებიც ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან ბავშვებსა და მშობლებს მიაწვდიან სათანადო ინფორმაციას ბავშვთა ქორწინებასთან დაკავშირებით.

საქართველოში ფიქრობენ, რომ ბავშვთა ქორწინება მხოლოდ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაშია „პოპულარული“, თუმცა ეს ასე არ არის, რადგან ბავშვთა ქორწინების პრაქტიკას ბევრი სხვა მიზეზი აქვს, რაც საზოგადოებაზე სხვადასხვაგვარად ახდენს გავლენას, ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას უფრო მეტი ცხოვრებისეული ბარიერი ხვდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვთა ქორწინება მათი ტრადიციის ნაწილი და მხოლოდ მათი პრობლემაა.

ამ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გამოიკვეთება ის საკითხები, რომლებიც ხელს უშლის ბავშვთა ქორწინებასთან ბრძოლას, შემუშავებული იქნება სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაშიც უფრო მეტად ეფექტური გახდება ამ პრობლემაზე პასუხისმგებელ პირთა ინფორმირება ბავშვთა ქორწინების უარყოფით მხარეებზე, ეს კი ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციას.

საძიებო სიტყვები: ბავშვთა ქორწინება, მსოფლიოს გამოწვევა, საგამოძიებო პრობლემები, თანმდევი დანაშაულები, პრევენციული ღონისძიებები.

Abstract

This master thesis related to children's marriage, its causes and investigative problems in Georgia surrounding this issue.

The problem of child marriage has been one of the important challenges not only of our country, but of the whole world for centuries, because early marriages occur in all countries regardless of ethnic and religious affiliation, the main reasons for them are known, although the problem is still relevant and important..

Within this paper, the causes of child marriage, preventive measures to solve the problem are discussed, and most importantly, child marriage is considered as a criminal offense, because the motive or context of committing an act provided for by separate articles of the Criminal Code of Georgia is related to child marriage. In the section of the criminal legal mechanisms for combating child marriage, illegal deprivation of liberty, forced marriage and penetration of sexual nature into the body of a person under the age of sixteen will be discussed as the main methods of child marriage.

In Georgia, cases of child marriage, including forced marriage, are often not known to law enforcement officers, and the fact that in the not so distant past, abducting women for the purpose of forcing marriage, was considered normal, and this kind of culture still exists in many parts of Georgia and society. A large part still does not perceive the habitual action as a crime, the abduction of a minor in order to force her into marriage is romanticized and leads to a tolerant attitude, and this indicates that public awareness and awareness is low, since we do not have proper specialists in educational institutions who will provide children and parents with proper information regarding child marriage even from school age.

In Georgia, it is thought that child marriage is "popular" only among the ethnically Azerbaijani population, but this is not the case, because the practice of child marriage has many other reasons that affect the society in different ways, the ethnically non-Georgian population faces more barriers in life, although this does not mean that Child marriage is part of their tradition and only their problem.

Within the framework of this master's thesis, the issues that prevent the fight against child marriage will be highlighted, appropriate conclusions and recommendations will be developed, if taken into account, it will become more effective to inform the people responsible for this problem about the negative aspects of child marriage, and this will contribute to the prevention of criminal acts.

Key search terms: Child marriage, Challenge the world, Investigative problems, Related Offenses, Preventive measures.